ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

თანაბარი შესაძლებლობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის

განხორციელების ვადა: 01.02.2018 - 31.01.2021

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 400 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Arbeiter-Samariter-Bund Deutschland

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/ASBinGeorgia/

პროექტის ვებსაიტები: asb.ge/ge/projects/387

პროექტის აღწერა:

ადამიანის უფლებების დაცვა ევროკავშირის პროგრამების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.

ეს პროექტი იცავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა სოციალურ, ჯანმრთელობისა და ეკონომიურ უფლებებს, მომსახურებაზე გაზრდილი ხელმისაწვდომის მეშვეობით. იგი ასევე უწყობს ხელს შშმ პირთა და მათი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვას და სამეწარმეო აქტივობებში ჩართვას.

საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში დაინერგება ინოვაციური საკონსულტაციო სერვისი “შშმ პირი შშმ პირისთვის”. ამ მიდგომის ძირითადი იდეაა შშმ პირთა გადამზადება, რათა მათ შეიძინონ კომპეტენცია და თვითდაჯერება იმისათვის, რომ მიაწოდონ ძირითადი ინფორმაცია და გაუწიონ მომსახურება სხვა შშმ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც აწყდებიან გარკვეულ ბარიერებსა და გამოწვევებს.

პროექტი:
- იკვლევს მუნიციპალიტეტებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების ეფექტური საქმიანობის ხელისშემშლელ ფაქტორებს
- ქმნის შესაბამის საინფორმაციო მასალებს შეზღუდულობის თემებზე და შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომ სერვისებზე, შშმ პირებისთვის, სამოქალაქო ორგანიაციებისა თუ ადგილობრივი მთავრობებისთვის

მოსალოდნელი შედეგები:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული PR კამპანიები და დებატები
- საკონსულტაციო საბჭოების ეფექტიანობის ხელისშემშლელი ფაქტორების კვლევა. მათი საქმიანობის გასაუმჯობესებისათვის, მიზნობრივი ტრენინგების ჩატარება.
- შშმ პირთა ოჯახის წევრების გაძლიერება, ადგილობრივ დონეზე მათი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობა
- საქართველოს რეგიონებში შშმ პირთათვის მიზნობრივი და მათ საჭიროებებზე მორგებული სოციალური სერვისების მიწოდება